სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ
2011 წლის 22 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- **ლალმაჰომედი ჰოლანდიის წინააღმდეგ (განაცხადი №26036)**

აპლიკანტი გოელზერ ლალმაჰომედი ჰოლანდიის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს დელფტში (ჰოლანდია). ის გასამართლდა და დაჯარიმდა პირადობის მოწმობის ჩვენებაზე უარის გამო, როდესაც გააჩერა პოლიციამ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის I და III (c) ნაწილებზე დაყრდნობით და ასევე კონვენციის მე-13 მუხლზე (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი) დაყრდნობით აპლიკანტი ჩივის, რომ 2007 წლის დეკემბერში მას უარი უთხრეს აპელაციის შეტანაზე. განსაკუთრებით განმცხადებელი ჩივის, რომ სააპელაციო გასაჩივრების დროს, მისი საჩივარი, რომელიც შეეხებოდა მისი იდენტურობის დამადასტურებელი მონაცემების არასწორად გამოყენებას, განუხილველად დატოვეს ყოველგვარი განმარტების გარეშე.

სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის I და III მუხლის (c) დარღვეულად მიიჩნია. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტს ეს მოთხოვნა არ დაუყენებია.

- **რადუკი პოლონეთის წინააღმდეგ (განაცხადი №10274/08)**

აპლიკანტი რობერტ რადუკი, პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს ლოძში (პოლონეთი). იგი დააპატიმრეს 2001 წლის დეკემბერში მკვლელობის ბრალდებით და გაასამართლეს 2006 წელს. განმცხადებელი ჩივის მისი საქმის გაჭიანურებული განხილვის გამო, როგორც სასამართლოს წინა პერიოდში, ასევე იმ არაადეკვატური პირობების გამო, რომელშიც მას ამყოფებდნენ დაკავებისას. განსაკუთრებით ეს ეხება საკნის პატიმრებით გადატვირთულობას. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ვეროპული კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2000 ევროს გადახდა არამატერიალური, ხოლო 1000 ევროს გადახდა ხარჯების ასანაზღაურებლად.

ანალოგი საქმეები

ქვემოთ ჩამოთვლილი საქმეები წარმოადგენს იმ საქმეთა ანალოგს, რომლებიც ადრე უკვე განიხილა სასამართლომ.

- **კომპანია Agrícola do Maranhão – CAMAR SA პორტუგალიის წინააღმდეგ (განაცხადი №335/10)**

ეს საქმე ეხება აპლიკანტი კომპანიისათვის კომპენსაციის დაანგარიშების გადავადებას და კომპენსაციის გადაუხდელობას. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირრვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი. განმცხადებელს მიეკუთვნა სამართლებრივი დაკმაყოფილება.

- **არიფ ერდემი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №37171/04)**

ამ საქმეზე 2010 წლის 23 მარტის განჩინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა). საკითხი ეხებოდა აპლიკანტისთვის ქონების ჩამორთმევას ყოვეგვარი კომპენსაციის გარეშე.

ამჟამინდელი განჩინებით კი, აპლიკანტის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 400 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 760 ევრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

- **ზეკი შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №28807/05)**

საქმე შეეხება აპლიკანტის განცხადებას მისი სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვაზე, რომელიც ეხებოდა მისი უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის სავარაუდო წევრობის ბრალდებას. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

სასამართლოსმ დააგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.